



**SIGMA**

**Support for Improvement in Governance  
and Management**

A joint initiative of the OECD and the European Union,  
principally financed by the EU

## მოხელეთა პასუხისმგებლობა – ავსტრიის გამოცდილება

კონფერენცია თემაზე  
„ფინანსთა სამინისტროს იურიდიული სამსახურის ორგანიზაცია:  
ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება“

თბილისი, საქართველო  
25-26 სექტემბერი 2009

საკონფერენციო მოხსენება მომზადებულია  
ვოლფგანგ ფეშორნის მიერ  
ფინანსთა სამინისტროს  
იურიდიული განყოფილების (Finanzprokurator) ხელმძღვანელი,  
ავსტრიის რესპუბლიკა

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მასში  
გამოთქმული აზრები ეკუთვნის ავტორს და არ გამოხატავს ევროკავშირის ოფიციალურ  
მოსაზრებასა და ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის  
ან მისი წევრი ქვეყნების ან სახელმწიფოს მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის  
პროგრამაში მონაწილე ბენეფიციარი ქვეყნების პოზიციას.

## შინაარსი

I. შესავალი.....	3
II. მოხელეთა პასუხისმგებლობა ავსტრიაში .....	3
III. დასკვნა .....	11

## I. შესავალი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კერძო პირი პასუხს აგებს მის მიერ სხვა პირისადმი მიყენებული ზიანის გამო.

რადგან ზიანს არა მხოლოდ კერძო პირები იწვევენ, არამედ სახელმწიფო ორგანოებიც, აუცილებლობას წარმოადგენს მოხელეთა მიერ მიყენებული ზიანის კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ ანაზღაურების უზრუნველყოფის რეგულირება.

ეფექტური მთავრობის პასუხისმგებლობის სისტემა ყოველ თანამედროვე სახელმწიფოში უნდა არსებობდეს, რომელიც დაარეგულირებს პასუხისმგებლობის როგორც მატერიალურ, ასევე პროცესუალურ მხარეებს.

მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული გასული საუკუნის შუა პერიოდის ჩათვლით სახელმწიფოს პასუხისმგებლობა აღიარებულ იქნა საფრანგეთში, გერმანიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთსა და ავსტრიაშიც. თუმცა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის აღიარება თავისთავად არ გულისხმობს პასუხისმგებლობის რეგულირების სისტემის იდენტურ განვითარებას ყველა სხენებულ ქვეყანაში.

ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებში მოხელეთა პასუხისმგებლობა კვლავაც მკაცრად შეზღუდულია. მაგალითად, შეერთებულ შტატებში სახელმწიფო არ აგებს პასუხს პირის ცემის, უკანონო პატიმრობისა და დაკავების, არასწორი გამოძიების, პროცესის გაჭიანურებისა და სხვათა გამო.

ბრიტანეთში ევროკავშირის სამართლის პრინციპების ამოქმედების შემდეგ პირველად გახდა შესაძლებელი უკანონო პატიმრობისა და უკანონო განსჯის წინააღმდეგ მექანიზმების გამოყენება დაზარალებული პირების სასარგებლოდ<sup>1</sup>.

იაპონიაში სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ინსტიტუტის განვითარება დასაბამს 1916 წლიდან იღებს. იქამდე სახელმწიფოსა და მის ადგილობრივ მთავრობებს არ ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა მოხელეთა ქმედებით მიყენებული ზიანისათვის მიუხედავად იმისა, რომ პოლიციის, სამხედროთა, საგადასახადო ადმინისტრაციისა და მიწების ექსპროპრიაციით გამოწვეული უკანონო ქმედება ზიანს აყენებდა მოქალაქეებს. მსგავს შემთხვევებში დაზარალებულ პირს უფლება ჰქონდა მოეთხოვა იმ მოხელეებს დაკისრებოდათ პასუხისმგებლობა, რომელთაც ბოროტად გამოიყენეს ძალაუფლება ანდა გადაამეტეს მათთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას. არ არსებობდა არავითარი მექანიზმი სახელმწიფოსათვის პასუხისმგებლობის დაკისრების თვალსაზრისით<sup>2</sup>.

კორეასა და ტაივანში სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ კანონები მხოლოდ 1951 და 1980 წლებში იქნა შემოღებული.

## II. მოხელეთა პასუხისმგებლობა ავსტრიაში

არსებობს პასუხისმგებლობის ორი სახე:

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, როდესაც ევროკავშირის წევრი სახელმწიფო დაარღვევს ევროპულ სამართალს, რითაც ზიანი ადგება ევროკავშირის მოქალაქეს და სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მოხელეთა მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის

<sup>1</sup> ib. Schwartz, *Administrative Law* (1976), 565;

<sup>2</sup> Yong Zhang, *Comparative Studies on Governmental Liability in East and Southeast Asia*, 201-220.

გამო, რის შედეგადაც ზიანი მიადგა პირს სახელმწიფოს შიგნით ევროპულ სამართალთან ყოველგვარი კავშირის გარეშე.

## **A. მთავრობის პასუხისმგებლობა**

### **1. სამართლებრივი საფუძველი**

მთავრობის პასუხისმგებლობის პრინციპები დასაბმს იღებენ 1930 წლიდან და ისინი მოცემულია ავსტრიის კონსტიტუციაში (მუხლი 23 B-VG).

ორგანული კანონი სახელწოდებით „ამთშაფთგეზეთცი“ („Amtshaftungsgesetz“), გამოდინარეობს კონსტიტუციიდან და ძალაშია 1949 წლიდან. მან რამდენჯერმე განიცადა ცვლილება, რომელთა მიუხედავაც ავსტრიაში იგი წარმოადგენს მთავრობის პასუხისმგებლობის დადგენის ძირითად საფუძველს.

თუ კერძო პირები მოთხოვნებს აყენებენ ფედერაციის წინააღმდეგ, ისინი ვალდებული არიან დაიცვან საამისოდ დადგენილი პროცედურები, რომლებიც მოცემულია ფედერალური მთავრობის მიერ გამოცემულ აქტში ფედერაციის წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნათა აღსრულების შესახებ. სხენებული აქტი ადგენს, რომ Finanzprokurator (ფინანსთა სამინისტროს იურიდიული განყოფილება), როგორც ავსტრიის რესპუბლიკის ინტერესების დამცველი და იურიდიული მრჩეველი წარმოადგენს ძირითად საკონტაქტო უწყებას ფედერაციის წინააღმდეგ საჩივრის წარმდგენ პირთათვის. Finanzprokurator აფასებს საჩივრებს და ვალდებულია კომპეტენტურ ორგანოებს მისცეს რეკომენდაციები უნდა იქნას თუ არა მოცემული საჩივარი აღიარებული.

### **2. იურიდიული პირების პასუხისმგებლობა თანახმად „ამთშაფთგეზეთციისა“**

„ამთშაფთგეზეთციის“ (კანონი მთავრობის პასუხისმგებლობის შესახებ) მუხლი 23 B-VG-ს თანახმად, კერძო პირს უფლება აქვს გაასაჩივროს არამხოლოდ ფედერაციის, არამედ მიწების, მუნიციპალიტეტების, სოციალური დაცვის სამსახურებისა და ასევე, სხვა ადმინისტრაციული ორგანოების ქმედებები. საჩივრის დაკმაყოფილების წინაპირობაა კერძო პირისადმი კანონის აღსრულების პროცესში მიყენებული ზიანის არსებობა.

### **3. საზრისი**

თუმცა ადმინისტრაციული ორგანოების პასუხისმგებლობა ესადაგება სამოქალაქო კოდექსით დადგენილ პასუხისმგებლობას, მთავრობის პასუხისმგებლობა წარმოადგენს სპეციალურ სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას. სამოქალაქო საქმეთა განმხილველი საერთო სასამართლოები განიხილავენ მთავრობის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ საქმეებსაც. ავსტრიის ფედერაციის კონსტიტუცია საერთო სასამართლოებს უფლებას ანიჭებს იმსჯელონ ადმინისტრაციული ორგანოების ქმედებათა კანონიერების შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ ავსტრიის ფედერაციის კონსტიტუცია ეფუძნება საკანონმდებლო, აღმსარულებელ და სასამართლო შტოებს შორის ხელისუფლების დანაწილების პრინციპს, სასამართლო განხილვის უფლებამ არ უნდა გამოიწვიოს მართლმსაჯულების ორგანოების მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობაში პირდაპირი ჩარევა. ხელისუფლების დანაწილების შედეგად მთავრობის პასუხისმგებლობის თაობაზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება ვერ შეიჭრება ავტონომიური საქმიანობის სფეროში. სასამართლო შესაძლებელია ეხებოდეს მხოლოდ მოხელის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხს.

### **4. წინაპირობები**

იურიდიული პირის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად აუცილებელია რიგი წინაპირობების იმავდროულად არსებობა. ესენია:

**ა.) ზიანი**

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოიშობა კერძო პირისადმი მიყენებული ზიანის არსებობის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში გარდა მიყენებული ზიანისა, გათვალისწინებულ უნდა იქნას ანაცდენი სარგებელიც. ზიანი შესაძლებელია გამოიხატოს როგორც საქმიანი რეპუტაციის შეზღავანაში, ისე უკანონო დაკავებითა ან დაპატიმრებით მიყენებული ფინანსურ დანაკარგებში.

კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას გამოიყენება კერძო სამართლის პრინციპები. ამ შემთხვევაში, კერძო პირს უნდა დაუბრუნდეს ზიანის მიყენებამდე არსებული მდგომარეობა.

**ბ.) მოხელის ქმედება**

ავსტრიის მთავრობის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის მიხედვით, იურიდიული პირი პასუხისმგებელია როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით მიყენებული ზიანისათვის. უმოქმედობით მიყენებული ზიანის შემთხვევაში აუცილებელია მოხელეს გააჩნდეს კანონით გათვალისწინებული მოქმედების ვალდებულება.

**გ.) ზიანის მიყენება კანონის აღსრულების პროცესში**

მოხელის ქმედება უნდა უკავშირდებოდეს კანონის აღსრულების პროცესს. ავსტრიის სამართლებრივი სისტემა სახელმწიფოს უფლებას ანიჭებს იმოქმედოს როგორც სუვერენმა და ასევე, ურთიერთობებში გამოვიდეს კერძო პირის სტატუსითაც. მთავრობის საქმიანობის ამგვარი დუალიზმი წარმოადგენს ავსტრიის მთავრობის პასუხისმგებლობის შესახებ კანონმდებლობის ყველაზე რთულ საკითხს.

განსხვავების მიზნებისათვის, ყურადღება უნდა მიექცეს მოხელე კერძო პირის როლში გამოდის თუ კანონის აღმასრულებელია. მოხელე გამოდის „აღმასრულებლის“ როლში, თუ მისი ქმედება მიმართულია ძალაუფლების გამოყენების საშუალებით გარკვეული მიზნის მისაღწევად. ძალაუფლების გამოყენებად მიიჩნევა იურიდიული პირის ქმედება, რომლის დროსაც კერძო პირის წინააღმდეგ მოქმედებაში მოდის ადმინისტრაციული და რეპრესიული უფლებამოსილებანი.

სახელმწიფო მმართველობის სფეროში ძალაუფლების გამოყენება გამოხატულია მაგალითად, განკარგულებებში, რეგულაციების სახით მიღებულ ოფიციალურ გადაწყვეტილებებში ანდა მოხელეთა ფაქტობრივ ქმედებებში.

კერძო სამართლის მიხედვით, ქმედება დასაშვებია, თუ იგი იმავე საშუალებებით ხორციელდება, რაც ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომია სამართლებრივი სისტემის მეშვეობით.

იმის გათვალისწინებით, რომ მართლმსაჯულებაც იყენებს გარკვეულ ძალაუფლებას, მთავრობის პასუხისმგებლობა მის მიერ გამოცემულ გადაწყვეტილებებზეც ვრცელდება. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ავსტრიის კანონმდებლობის მიხედვით მთავრობის პასუხისმგებლობა არ დგება უმაღლესი სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გამო. თუმცა, ისინი შესაძლებელია საფუძვლად დაედოს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას. ამგვარად, სპეციალური საპროცესო დებულებების თანახმად, მთავრობის პასუხისმგებლობის შესახებ საჩივრები შესაძლებელია ეფუძნებოდეს იმ სასამართლო გადაწყვეტილებებს, რომლებიც არ საჩივრდებიან უმაღლეს სასამართლოში (Oberster Gerichtshof).

**დ.) არაკანონიერება**

მოხელის ქმედებამ უნდა გამოიწვიოს სამართლის ნორმის დარღვევა, რომელიც აღკვეთს კერძო პირისადმი ზიანის მიყენებას.

ამ თვალსაზრისით, განსასხვავებელია კანონით დადგენილი ვალდებულებები საჯარო ინტერესებს ემსახურებიან თუ მოქალაქის ცალკეულ ინტერესებს. ამგვარი მიდგომის საშუალებით შესაძლებელია თავიდან იქნას აცილებული მთავრობის პასუხისმგებლობა საკანონმდებლო აქტების გამო. საკანონმდებლო პროცესისათვის მახასითებელი სამოხელეო ვალდებულებანი ზოგადად საზოგადოებას ემსახურებიან და არა რომელიმე კერძო პირის ინტერესებს, რომელზედაც შესაძლოა კანონმა საერთოდ იქონიოს გარკვეული გავლენა. საერთოდ, მთავრობის პასუხისმგებლობა არ დგება ყოველგვარი ნორმატიული აქტის გამო.

არაკანონიერება შესაძლებელია გამოწვეული იქნას ისეთი არაკანონიერი ფორმალური გადაწყვეტილებით, როგორცაა სასამართლოს განაჩენი ან განჩინება, რაც გამოიხატა კანონის არასწორად შეფარდების გამო უკანონო აქტის მიღებაში ან საპროცესო კანონმდებლობის უხეშ დარღვევაში.

არაკანონიერება შესაძლებელია გამოიწვიოს არაზუსტი ინფორმაციის მიწოდებამ ან არასწორმა რჩევამ.

### **ე.) ბრალი**

ზიანთან დაკავშირებული ავსტრიული კანონმდებლობის მიხედვით, მხარეს ეკისრება პასუხისმგებლობა, თუ მის მიერ ზიანის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო მის მიერ მსგავსი მცდელობის შემთხვევაში. ავსტრიული სამართალი ერთმანეთისაგან განარჩევს ნაკლებად და მომეტებულად გაუფთხილებელი და განზრახი ბრალის სახეებს. მთავრობის პასუხისმგებლობისათვის კი მნიშვნელობა არ აქვს ბრალის სახეს. შედეგად, მოხელის გადაწყვეტილება ექვედებარება გასაჩივრებას თუ იგი არსებითად არაგონივრულია.

მოხელის ქმედებები უნდა ემყარებოდეს ზედმიწევნით განსჯასა და ითვალისწინებდეს კანონის მოთხოვნებს გადასაწყვეტ საკითხთან დაკავშირებით, რაც თავის მხრივ გამორიცხავს მისი ქმედებების არაგონივრულობას.

საზედამხედველო და დოქტრინული მნიშვნელობის ნორმების დარღვევის შემთხვევაში გადაწყვეტილება სხვაგვარად უნდა დასაბუთდეს, რათა გამოირიცხოს მისი არაგონივრულობა.

მოხელის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებისას ამ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ან გადამეტება მისი ბრალეულობის საკითხს აყენებს. დისკრეციული უფლებამოსილების ნებისმიერი არაკანონიერი სახით გამოყენება გულისხმობს მოხელის ვალდებულებების დარღვევას.

მოხელე თავის ქმედებებს უნდა მოეკიდოს ექსპერტი მოწმის მსგავსი სიფრთხილით.

### **ვ.) პასუხისმგებლობის სხვა საფუძვლები**

ნებისმიერი არაკანონიერი ქმედება მიზეზობრივ კავშირში უნდა იმყოფებოდეს დამდგარ შედეგთან. მიზეზ-შედეგობრიობას უპირატესობა ენიჭება, რადგან ჰიპოთეზის სახით ზიანის გამომწვევი ქმედების გარეშე ზიანი არ დადგებოდა.

გარდა ამისა, არაკანონიერი ქმედება და მიყენებული ზიანი პროპორციული უნდა იყოს. მაშასადამე, წინასწარი შეფასებით, ზიანის გამომწვევი ქმედება უნდა შეესაბამებოდეს დამდგარ ზიანს. ანაზღაურების მოთხოვნა უსაფუძვლოა იმ შემთხვევაში, თუ დამდგარი ზიანი გამოწვეულია გაურკვევლად ურთიერდაკავშირებულ გარემოებათა გამო.

### **ზ.) მტკიცების ტვირთი**

მტკიცების ტვირთი დგინდება კერძო სამართლის ნებისმიერი სახის საჩივართან დაკავშირებული დებულებებით. მომჩივანი ვალდებულია ამტკიცოს მის მიერ განცხადებული ფაქტები მისი საჩივრის დაკმაყოფილების მიზნით, რაც გულისხმობს სამოხელეო ვალდებულების დარღვევის, მიყენებული ზიანის, დარღვევასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირისა და მოხელის ბრალის დამადატურებელი ზიანისა და ფაქტების მტკიცებას.

სასამართლოები მტკიცების ტვირთის ფარგლებში მომჩივანისაგან არ მოითხოვენ ქმედების განმხორციელებელი მოხელის ვინაობის დასახელებას.

## **5. მთავრობის პასუხისმგებლობის თავისებურებანი**

### **ა.) მოხელისათვის პირდაპირი პასუხისმგებლობის დაკისრების დაუშვებლობა**

მხარეს, რომელსაც ზიანი მიაღება, საჩივარი შეაქვს არა პირადად ზიანის გამომწვევი მოხელის წინააღმდეგ, არამედ იმ იურიდიული პირის წინააღმდეგ, სადაც ხსენებული მოხელეა დასაქმებული.

აღსანიშნავია, რომ ავსტრიაში ფედერალური და მხარეების მთავრობები ერთად ახორციელებენ სახელმწიფოს მართვას. აქედან გამომდინარე, სუბიექტთა მოხელეები ხშირად ახორციელებენ ფედერაციას მიკუთვნებულ საქმიანობებს. მთავრობის პასუხისმგებლობის შესახებ კანონმდებლობის თანახმად, პირი უფლებამოსილია საჩივარი შეიტანოს იმ იურიდიული პირის წინააღმდეგ, სადაც მოხელე საქმიანობს (ორგანიზაციული იურიდიული პირი) და ასევე, იმ იურიდიული პირის წინააღმდეგაც, რომლის საქმიანობასაც მოხელე ახორციელებს (ფუნქციური იურიდიული პირი). ავსტრიული სამართლის მიხედვით, ორგანიზაციული იურიდიული პირი უფლებამოსილია სრულად უარყოს ზიანის ანაზღაურება და გადააკისროს იგი ფუნქციურ იურიდიულ პირს.

### **ბ.) მოხელის პასუხისმგებლობა**

ზიანის ანაზღაურებისათვის პასუხისმგებელი იურიდიული პირი უფლებამოსილია ანაზღაურების ვალდებულება გადააკისროს მოხელეს მისი ბრალეულობის დადგენის შემთხვევაში. ამგვარად, თუ მოხელემ ზიანი გამოიწვია მომეტებული გაუფრთხილებლობით ანდა წინასწარი განზრახვით, იურიდიულ პირს უფლება აქვს მოხელეს გადააკისროს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

### **გ.) მატერიალური ზიანი**

ავსტრიული სამართალი ადგენს ნატურალური რესტიტუციის პრინციპს, რომლის მიხედვითაც მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს იმავე სახით.

მთავრობის პასუხისმგებლობის შესახებ კანონმდებლობის მიხედვით, ზიანი უნდა ანაზღაურდეს ფულადი სახით, რაც წარმოადგენს ზემოხსენებული პრინციპიდან გადახვევის საგამონაკლისო შემთხვევას. მსგავსი შეზღუდვა შემოღებულია სახელმწიფო მმართველობაში ჩარევის თავიდან აცილების მიზნით.

### **დ.) ანაზღაურების არაქვემდებარე ზიანი**

უმაღლესი ინსტანციის სასამართლოების (საკონსტიტუციო სასამართლო, ადმინისტრაციული სასამართლო და უზენაესი სასამართლო) გადაწყვეტილებანი და ასევე, საკანონმდებლო აქტები არ წარმოადგენენ მთავრობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს. ხოლო, თუ კერძო პირს ზიანი მიაღება უმაღლესი ინსტანციის სასამართლოთა განხილვის გარეშე მიღებული გადაწყვეტილებით, შესაძლებელია სახელმწიფო პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დაუშვებელია, თუ პირმა არ შეაჩერა ზიანის მიყენება გასაჩივრების უფლების გამოყენების მიზნით.

„მოფრთხილების ვალდებულების“ აღწერილი პრინციპი, მხარეს ვალდებულებას აკისრებს თავიდან აიცილოს მოსალოდნელი ზიანი და წარმოადგენს ზიანის შემცირების ზოგად მოვალეობას.

გარდა ამ პრინციპისა, არსებობს თანამონაწილეობით გაუფრთხილებლობის ინსტიტუტი, რომელიც ამცირებს მოთხოვნილი ზიანის ოდენობას და შესაძლებელია მთლიანად დაუშვებლადაც კი აქციოს საჩივარი, თუ მოქალაქის თანამონაწილეობა ზიანის მიყენებაში უფრო მეტადაა გამოხატული ადმინისტრაციულ ორგანოსთან შედარებით.

#### **ე) გასაჩივრების ვადები**

მთავრობის პასუხისმგებლობის შესახებ კანონმდებლობის მიხედვით, გასაჩივრების საერთო ვადა ათი წელია. იურიდიულ პირს მოხელისათვის ზიანის ანაზღაურების გადაკისრების უფლება აქვს სასამართლო გადაწყვეტილებით განსაზღვრული ზიანის ოდენობის დადგენიდან ექვსი თვის ვადაში.

### **6. აღსრულება და მასთან დაკავშირებული პროცესი**

მთავრობის პასუხისმგებლობის შესახებ კანონმდებლობის მიხედვით, მხარე საჩივრის წარდგენამდე წერილობით მიმართავს შესაბამის იურიდიულ პირს, ინფორმაცია მიეწოდოს მომდევნო სამი თვის ვადაში, მიყენებული ზიანის ცნობის ან მთლიანად ან ნაწილობრივ არცნობის შესახებ. ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ ფედერაციისადმი მიმართვა ეგზავნება Finanzprokurator-ს.

Finanzprokurator, როგორც ფედერალური ორგანოს ამოცანას შეადგენს ყველა ფედერალური ორგანოს საქმიანობის კოორდინაცია და კერძო პირისათვის დადგენილ ვადაში პასუხის გაცემა. ხსენებული ამოცანის შესასრულებლად Finanzprokurator მოიპოვებს ინფორმაციას ყველა დაკავშირებული ადმინისტრაციული ორგანოდან და შესაბამისად ადგენს შემდგომი პროცედურების შესახებ რეკომენდაციას ექსპერტის მოსაზრების სახით კომპეტენტური ორგანოებისათვის. საბოლოოდ, Finanzprokurator ვალდებულია კერძო პირს შეატყობინოს საამისოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ საჩივრის დაშვების ან დაუშვებლობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.

მთავრობის პასუხისმგებლობის შესახებ კანონმდებლობა განსხვავდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობისაგან მისი მოქმედების სფეროსა და პროცესის შინაარსის მიხედვით. როგორც წესი, მთავრობის პასუხისმგებლობის შესახებ საჩივრები განიხილება საერთო სასამართლოს მიერ სამოქალაქო სამართალწარმოების გზით, რომლის დროსაც კერძო პირი და ადმინისტრაციული ორგანო თანაბარი უფლებებით სარგებლობენ.

### **B. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა**

ევროპული სამართლის მიხედვით სახელმწიფოს პასუხისმგებლობა დგება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ ევროპული სამართლის ნორმების დარღვევისა და შედეგად ევროკავშირის მოქალაქისადმი მიყენებული ზიანის გამო.

#### **1. პრინციპები**

ევროსასამართლომ დაადგინა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ზოგადი პრინციპი ევროპული სამართლის ნორმათა დარღვევის გამო. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ეფუძნება შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები პასუხისმგებელი არიან ევროპული სამართლის შექმნისა და რაც მთავარია, მისი შემდგომი აღსრულებისათვის. ევროპული სამართლით აღიარებული ინდივიდის უფლებების დარღვევის შემთხვევებში, სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ წევრი ქვეყნების ეროვნული სასამართლოები.

წევრი ქვეყნების ეროვნულ სასამართლოებს გააჩნიათ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლებამოსილება, მიუხედავად სხვა ეროვნული სასამართლოს კონსტიტუციური გადაწყვეტილების არსებობისა.

ევროპული სამართალი, წევრი სახელმწიფოს მიერ ევროპული სამართლის ნორმების დარღვევის შემთხვევაში, მოითხოვს ფიზიკური პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

## 2. ევროსასამართლოს პრეცედენტები

მთავრობის პასუხისმგებლობისაგან განსხვავებით, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა წარმოიშობა მოხელეთა უკანონო ქმედებების განხორციელებისას კანონმდებლობის, აღსრულებისა და მართლმსაჯულების სფეროებში.

ევროსასამართლომ, ფრანკოვიჩისა და ბონიფაჩის იტალიის წინააღმდეგ საქმეში, დაადგინა, რომ სახელმწიფო პასუხისმგებელია ეროვნული მთავრობების მიერ ევროპული სამართლის მოთხოვნათა შეუსრულებლობის გამო. ევროსასამართლომ განაცხადა, რომ ფიზიკურ პირებს უფლება აქვთ საჩივარი აღძრონ წევრი სახელმწიფოს წინააღმდეგ, მათსავე ეროვნულ სასამართლოებში ევროპული თანამეგობრობის ხელშეკრულებათა დარღვევის შემთხვევაში.

ბრასე დიუ პეშო გერმანიის რესპუბლიკის წინააღმდეგ საქმეში, ევროსასამართლომ აღიარა ფიზიკური პირისადმი ევროპული სამართლის ნორმების დარღვევით მიყენებული ზიანი, რაც გამოწვეულ იქნა საკანონმდებლო აქტით.

ქობლერი ავსტრიის რესპუბლიკის წინააღმდეგ საქმეში, სასამართლომ დაადგინა, რომ მართლმსაჯულების კანონის დარღვევით განხორციელება შესაძლებელია გახდეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საფუძველი.

ქობლერის საქმეში უმაღლესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ არასწორად განმარტა ევროპული სამართლის ნორმები. ევროსასამართლომ დაადგინა, რომ ფიზიკურ პირებს უფლება აქვთ გაასაჩივრონ წევრი სახელმწიფოს უმაღლესი სასამართლოს მიერ ევროპული სამართლის უმართებულო გამოყენება.

## 3. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საფუძველები

ევროსასამართლომ განსაზღვრა სახელმწიფოსათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველები:

- დარღვეული ევროპული სამართლის ნორმა ფიზიკურ პირებს ანიჭებდა უფლებებს;
- დარღვევა საკმარისად საგულისხმო უნდა იყოს;

- სახელმწიფოს მიერ დარღვევასა და დამდგარ ზიანს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი.

ხსენებული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლებელია დადგეს ეროვნულ სასამართლოში.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ეფუძნება ევროკავშირის მართლწესრიგის დაცვის ძირითად პრინციპს, რომლის მიხედვითაც ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა დაიცვან ევროპული სამართლით გარანტირებული ინდივიდის უფლებები, მათ შორის, სახელმწიფოს მიერ მათი განხორციელების უზრუნველყოფის გზითაც, მსგავსი ვალდებულების არსებობის შემთხვევაში.

ევროპული სამართლის დარღვევა მდგომარეობს როგორც დირექტივის სრულ შეუსრულებლობაში, ისე მის ნაწილობრივ, არამართებულ ან შეუსაბამო შესრულებაშიც. არსებობს ევროსასამართლოს მრავალი გადაწყვეტილება წევრი სახელმწიფოების მიერ დირექტივის არაკანონიერად აღსრულების საფუძველზე წარმოქმნილი დავების თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ეკისრება ადმინისტრაციული ორგანოებისა თუ სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების განმახორციელებელი პირების ყველა ქმედებაზე<sup>3</sup>.

#### 4. აღსრულება და მასთან დაკავშირებული პროცესი ავსტრიაში

ევროსასამართლოს ეროვნული სამართლებრივი სისტემები განსაზღვრავენ ევროპული სამართლიდან გამომდინარე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ დავების განმხილველ ადგილობრივ სასამართლოს. ავსტრიის კოდიფიცირებული სამართლებრივი სისტემა პირდაპირ არ ითვალისწინებს სახელმწიფოსადმი პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ ნორმებს. სახელმწიფო პასუხისმგებლობის აღსრულებასთან დაკავშირებული საპროცესო კოდექსი, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს ევროპულ სამართლის ნორმებსა და ევროსასამართლოს პრეცედენტულ სამართალს დღემდე არ არის მიღებული. არსებობს მრავალი მიზეზი საიმისოდ, რომ მიზანშეწონილად ჩაითვალოს მთავრობის პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ნორმები გავრცელდეს სახელმწიფოსათვის დაკისრებული პასუხისმგებლობის აღსრულებაზეც ავსტრიაში.

უფრო მეტიც, რადგან არ არსებობს უშუალოდ მარეგულირებელი კანონმდებლობა სახელმწიფოს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, პროცესი ძირითადად სასამართლო პრაქტიკას ეფუძნება. საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილების თანახმად, ეს უკანასკნელი უფლებამოსილია განიხილოს საჩივრები, რომლებშიც გასაჩივრებული ქმედებები პირდაპირ უკავშირდება კანონმდებლის საქმიანობას.

უზენაესი სასამართლო, როგორც სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის უმაღლესი ინსტანცია, რჩება სახელმწიფო პასუხისმგებლობის შესახებ საჩივრების განმხილველ ორგანოდ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან მის მიერ ძალაუფლების განხორციელებისას ან ადმინისტრაციული ორგანო სამოქალაქო სამართლით რეგულირებული ურთიერთობებში მონაწილეობისას, ადგილი ჰქონდა ევროპული სამართლის ნორმების დარღვევას, მის არასწორ გამოყენებას ან უგულებელყოფას.

<sup>3</sup> <http://www.eurofound.europa.eu/areas/industrialrelations/dictionary/definitions/stateliability.htm>

### III. დასკვნა

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ავსტრიაში სახელმწიფოს მიერ მიყენებული ზიანის გამო პასუხისმგებლობისათვის დამახასიათებელია მთავრობის პასუხისმგებლობის შესახებ კანონმდებლობის მუდმივი განვითარება. 1995 წლიდან ავსტრიის ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ, იგი პასუხისმგებლობას იღებს ევროპული სამართლით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასა და ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებაზე.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა გულისხმობს საკანონმდებლო და უმაღლესი ინსტანციის მართლმსაჯულების ორგანოებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას მათი არაკანონიერი საქმიანობის გამო.

Finanzprokurator გამოირჩევა მისი განსაკუთრებული როლით, რადგან იგი წარმოადგენს ფედერაციის საკონტაქტო პირს მოწმეთა გამოძახების პროცედურებთან დაკავშირებით და ავსტრიის რესპუბლიკას წარმომადგენლობას უწევს სასამართლოებში. მის ფუნქციებში, ასევე, შედის დაუსაბუთებელი საჩივრების თავიდან აცილება, საქმეზე არსებული ყველა ცნობილი გარემოების ობიექტური შეფასება და პროცესის ეფექტური მართვა.